საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 49 23/08/2017

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“46-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად და მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის 22 აგვისტოს №22/08/01 განკარგულების გათვალისწინებით

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო მასალების გამოსაფენად გამოიყოს ადგილები დანართი N1 - ის შესაბამისად.

მუხლი 2. აიკრძალოს საარჩევნო პლაკატების გამოკვრა საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, პოლიციისა და სასამართლოს ინტერიერებსა და ექსტერიერებში, ასევე საგზაო ნიშნებზე.

მუხლი 3. ამ განკარგულების #1 დანართით სააგიტაციო მასალების გამოსაფენად განსაზღვრულ თითოეულ ადგილზე საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილით.

მუხლი 4 . ამ განკარგულების #1 დანართით განსაზღვრულ სააგიტაციო მასალების გამოსაფენ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი)

მუხლი 5. ამ განკარგულების #1 დანართით განსაზღვრულ ადგილებში, საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს 2 ცალით;

მუხლი 6. შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.

მუხლი 7. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს განკარგულების (საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაციის) გამოქვეყნება ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

მუხლი 9. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მანანა ბარბაქაძე



საკრებულოს თავმჯდომარე